სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება #42

ქ. ქარელი 20 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ,, ქარელის მუნიციპალიტეტი „ (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაზა გულიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,, ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"- (ს/კ 440885099) მისი ხელმძღვანელის კობა მარჯანიძის სახით (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე (CPV45300000;)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შესასყიდია: ქარელის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 მარტის № 230-ს ბრძანების საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სოფელ სამწევრისში გაუმართავი სასმელი წყლის სისტემის და ელექტრო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4362 (ოთხიათასსამასსამოცდაორი) ლარი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა 2 წლიან გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების მე-3 პუნქტის საფუძველზე ფაქტიური დანახარჯების და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6.3. წინასწარი ანგარიშსწორება დაუშვებელია.

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. შესყიდვის ობიექტის პირობების, მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით. თუ ვადაგადაცილებით დაკისრებული თანხის ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 5% მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.6. შესყიდვის განხორციელებისას ვალდებულობის შეუსრულობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 120%-ით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი პირი რჩება დამკვეთან ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქარელის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ქ.ქარელი, ნინოშვილის ქ#3
ს/კოდი: 240893002
ქარელის მუნიციპალიტეტის
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24 NB 033 010 020 016 5022

ქარელის მუნიციპალიტეტის
მერი: ზაზა გულიაშვილი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს ,, ქარელის კეთილმოწყობის სამსახური"
მისამართი: ქ.ქარელი,თამარ მეფის ქუჩა #26
ბანკი: სს,, ლიბერთი ბანკი "
ბანკის კოდი:LBRTGE22
ანგ#GE50 LB0 113 170 517 415 000
ს/კოდი: 440885099

ხელმძღვანელი: [illegible]ობა მარჯანიძე

სამწევრისის სასმელი წყლის წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია

N	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ტრაშეის გაჭრა მექანიზებულად 0.5*0.6*200 მ	კბ.მ	60.00	0.00	0.00	2.00	120.00	3.00	180.00	300.00
2	დამუშავებული მიწის ნაწილის დატვირთვა და გატანა.	კბ.მ	30.00	0.00	0.00	2.00	60.00	5.00	150.00	210.00
2	ტრანშეის დამუშავება ხელით (გატანა)	კბ.მ	12.00	0.00	0.00	20.00	240.00	5.00	60.00	300.00
3	დ50 მმ 8 ატმ. წყალგაყვანილობის პლასტმასის მილის შეძენა მოწყობა	გრძ/მ	200.00	2.20	440.00	1.00	200.00	0.75	150.00	790.00
	პლასტმასის მილის გადასაბმელები 50*50მმ	ცალი	4.00	6.37	25.49	0.00	0.00	0.50	2.00	27.49
	სამკაპი პლასტმასის 50*25*50მმ	ცალი	12.00	12.00	144.00	0.00	0.00	0.50	6.00	150.00
4	ქვიშა ფენილის მოწყობა 10+20=30 სმ	კბ.მ	30.00	15.00	450.00	5.00	150.00	9.00	270.00	870.00
5	სარეზერვო ავზის ტუმბოს ელექტრონული მართვის სისტემის შეძენა მონტაჟი (ყუთში)	კომპ	1.00	400.00	400.00	50.00	50.00	20.00	20.00	470.00
6	სარეზერვო ავზის რეაბილიტაცია (დადუღება)	ც	1.00	0.00	0.00	10.00	10.00	0.00	0.00	10.00
	ფოლადის ფურცელი 30*30 სმ ზომის 5 მმ სისქე	ც	1.00	3.00	3.00	0.00	0.00	0.00	0.00	3.00
	ელექტროდი	ც	15.00	0.30	4.50	0.00	0.00	0.00	0.00	4.50
	ჯამი:									**3134.99**
	ზედნადები ხარჯები-8%									**250.80**
	ჯამი:									**3385.79**
	გეგმიური დაგროვება-6%									**203.15**
	ჯამი:									**3588.94**
	გაუთვალისწინებელი ხარჯი-3%									**107.67**
	ჯამი:									**3696.61**
	დ.ღ.გ-18%									**665.39**
	ჯამი:									**4362.00**

შემსრულებელი: **მურად ყაჩლავაშვილი**